

29
R-765

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ლოპხანიძე

იესო და მარიაში ყურანში

10. 01. 06. - მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

1. ნანა ფურცელაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2. აპოლონ სილაგაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. მაგალი თოდუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 10. 01. 06.

2. როსტომ ჩხეიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი 10. 01. 09.

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წ. 11. 02 13⁰⁰ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P 10. 05. №8 სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 0147, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 06. 01

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი

რ. ციხითათრისძე (რ. ციხითათრისძე)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. მსოფლიოს დიდი რელიგიების მსგავსებათა კვლევასა და ამ ანალოგიათა სინქრონულ თუ დიაქრონულ კონტექსტში განხილვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც პირწმინდად მეცნიერული, ასევე პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით. ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება დღეს, როცა მთელ მსოფლიოში აქტიურად საუბრობენ დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებაზე და ამ დაპირისპირებაში რელიგიურ ფაქტორს, უფრო სწორად, საღვთო წიგნების ცალკეულ პასაჟთა არასწორ ან არასაკმარის ინტერპრეტაციას არცთუ უკანასკნელ როლს აკისრებენ. აქედან გამომდინარე, აბრაამიტული ტრადიციის რელიგიათა (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) პარალელური საკითხების სისტემური ანალიზი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს დასავლურ-აღმოსავლური კონფრონტაციის განვლვისას და ამ ორი სამყაროს დიალოგის ხელშეწყობისათვის. ეს მნიშვნელობა კი სრულიად გამოკვეთილია საქართველოსათვის, რომელიც, გეოპოლიტიკური ვითარების გამო, დასავლურ-აღმოსავლური დაპირისპირების სიმბოლურ ეპიცენტრში არის მოქცეული.

გარდა ამისა, ყურანის მიერ შემოთავაზებულმა იესოს აშკარად არაორდინარულმა სახემ საუკუნეთა მანძილზე მუსლიმ ღვთისმეტყველთა, ლიტერატორთა და შემოქმედ ადამიანთა დაუცხრომელი ინტერესის გაღვივებას შეუწყო ხელი. აღმოსავლურ ლიტერატურაში იესოს პარადიგმა მუდამ ერთ-ერთ ცნობისწადილის აღმძვრელ თემად რჩებოდა, რადგან მისი ყურანისეული ხატის თითოეული პლასტი ვარიანტული გადაამუშავების დიდ შესაძლებლობას იძლეოდა. ამ საძირკველზე კი ამოზრდილია შუასაუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, პოეზიის ქრისტოლოგიური ნაკადი, რომლის გაგებაც იესოს ყურანისეული ხატის სისტემური ანალიზის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ქართული სემიტოლოგიის ინტერესთა მრავალფეროვნების მიუხედავად, დღემდე საქართველოში ყურანის ცალკეული თეოლოგიური პრობლემებისა და, მითუმეტეს, ქრისტანულ-მუსლიმური პარალელიზმების საგანგებო შესწავლა ჯერ არ ჩატარებულა.

ნაშრომის მიზანი და ობიექტი. დისერტაციის მიზანია, წარმოადგინოს 'ისა მასიჰის (იესო ქრისტეს) ხატის ყურანისეული გაგება საკითხის ფართო, ქრისტანულ გააზრებებთან შეპირისპირების საშუალებით და იმავდროულად მოგვეცეს იესოს სახის იმ მოდიფიკაციათა თანამიმდევრული ანალიზი, რომელთაც აღნიშნულ პასაჟებთან დაკავშირებით ვხედავთ მუსლიმთა საღვთო წიგნის სისტემურ თეოლოგიაში.

ამ საკითხთა მეცნიერულ შესწავლას დიდი ხნის ტრადიცია აქვს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, პრობლემა ასე მასშტაბურად ჯერჯერობით არ დასმულა, რადგან მკვლევარები ამჯობინებდნენ, მისი რომელიმე კონკრეტული მხარე შესწავლათ. ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, აიოლებდა განსაზღვრულ თემათა ამომწურავ ანალიზს და საშუალებას იძლეოდა, გარკვეული კუთხით, სრულყოფილად წარმოჩენილიყო რომელიმე პრობლემა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დასკვნები მაინც ტენდენციური იყო, იმის გამო, რომ ვერ ხერხდებოდა მთლიანი კონტექსტის საფუძვლიანი გააზრება.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ, ნაშრომში პრობლემა ფართო პლანით წარმოგვედგინა და გვეცადა, ლიტერატურული-იდეურ ანალიზთან ერთად მოგვეცა საკითხის უფრო ფართო ისტორიულ-თეოლოგიური დისკურსიც.

ამ მიზნით, სისტემურად შევისწავლეთ როგორც ყურანი, ასევე

— 4761 —